საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2024 წლის 28 ივნისი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივნისის №102 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი, „საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივნისის №102 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, 29/06/2018 წ; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.130.016311).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გაგა დარბაიძე**